

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა  
სამსახურის 2018 ანგარიში

1. 2018 წელს სამსახურში შემოვიდა **580 სხვადასხვა სახის განცხადება/კორესპონდენცია** და გაეცა შესაბამისი პასუხები. რაც შეეხება **შიდა** სამსახურის თანამშრომლების მიერ მომზადებულ წერილებს - სულ სამსახურს დაეწერა 58 წერილი.
2. სამსახური აწარმოებდა შემოსული განცხადებების ერთიანი **ელექტრონული ბაზის შექმნას** და აწარმოებდა კონკრეტული განცხადებების **კონტროლზე** აყვანას.
3. *სამსახურმა ადგილზე გასვლით შეისწავლა ზეზე მდგომიარე ხეების მოჭრის, გადაბეღვის საკითხები და გასცა შესაბამისი ნებართვები, შესაბამისად მოახდინა სიტყვიერი და წერილობითი რეაგირება, მათ შორის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა.*
4. სამსახურმა უზრუნველყო 200 m<sup>3</sup> **სამასალე ხე-ტყის განაწილება** 34 მოსახლეზე., რომელთა საცხოვრებელი სახლები და დამხმარე შენობა ნაგებობები გადაუდებელ შეკეთებას საჭიროებდა.
5. მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტმა შეიძინა **231 მ<sup>3</sup> საშეშე ხე-ტყე** სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე განაწილების მიზნით და განაწილებული იქნა **73 ოჯახზე**.
6. სამსახურმა ასევე **განახორციელა პროგრამა** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამით უზრუნველყოფილი ბენეფიციარისთვის **სათბურის საძირკვლის მოწყობისათვის დაფინანსების ხელშეწყობა** შემდგომში სასათბურე მეურნეობების განვითარების მიზნით. სულ დაფინანსდა 1000 კვმ სასათბურე მეურნეობის საძირკვლის მოწყობა 100%-ით.
7. სამსახურმა ასევე შეიმუშავა 2019 წლის ბიუჯეტის ფარგლებში პროგრამა **„სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“**, რომელიც გულისხმობს *ა(ა)იპ „აგროპროექტების მართვის ცენტრი“-ს მიერ დაფინანსებული ფერმერის თანადაფინანსებას - 50%-ით.*
8. სამსახურმა ასევე შეიმუშავა პროგრამა 2019 წლის ბიუჯეტის ფარგლებში როგორც **გარემოსდაცვითი**, ასევე **სოციალური სახის**, რაც ითვალისწინებს **შეშის ჩანაცვლებას ალტერნატიული საწვავით (თხილის ნაჭუჭი) აღნიშნული პროგრამა** ხელს შეუწყობას სოციალურად დაუცველი მოქალაქეების სითბოთი უზრუნველყოფას და მეორე ხარისხის სასეშე ხე-ტყის მოხმარების შემცირებას წლიურად 1700 კუბამდე.
9. მიმდინარე წელს სამსახური ჩართული იყო **ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებში** სულ მუნიციპალიტეტის მასშტაბით შეიწამლა ცივი შესხურებით 1376 ჰა და 10470 ჰა თერმული დამუშავებით სასოფლო-სამეურნეო ნარგავები.
10. მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარდა **ბზის ალურას**, ბზის დამწვრობის საწინააღმდეგო ღონისძიებები 22 ჰექტარზე ბზის გადარჩენის მიზნით.

11. მეციტრუსე ფერმერებისთვის ციტრუსის რეალიზაციის ხელშეწყობა.
12. სამსახური ჩართული იყო სხვადასხვა აქტივობებში, მათ შორის ამყარებდა კომუნიკაციას როგორც სახელმწიფო უწყებებთან, ასევე კერძო სტრუქტურებთან, მონაწილეობა კომისიის სხდომებში.